შპს „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და
ექსპერტიზის ცენტრი"
LTD „THE CENTER OF BUILDING RESEARCH
AND EXPERTISE"

თბილისი, თამარ მეფის გამზირი 5ა Tamar Mefis gam 5a, Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32227704, E-mail: expertisecntr@gmail.com

11.06.2019 № 09-08-43
თქვ. № _____

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა № 6-ში (ს.კ. 01.18.05.001.006;) მრავალფუნქციური სასტუმროს კომპლექსის შენობის სადემონტაჟო სამუშაოების , მომიჯნავედ განთავსებულ შენობა - ნაგებობებზე (ს.კ. 01.18.05.001.047; ს.კ. 01.18.05.001.076) გავლენის დადგენის მიზნით

ქ. თბილისი

2018 წელი

ვამტკიცებ შ.პ.ს. „შენობა ნაგებობათა
კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრი"-ს
დირექტორი „ ” რ.ცხვედაძე
„ ” 2019წ

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა № 6-ში არეკონსტრუქციო (ს.კ. 01.18.05.001.006;) მრავალფუნქციური სასტუმროს კომპლექსის მშენებლობის, მომიჯნავედ განთავსებულ შენობა - ნაგებობებზე (ს.კ. 01.18.05.001.047; ს.კ. 01.18.05.001.076) გავლენის დადგენის მიზნით

შემსრულებელი:

ექსპერტი, დ. ტაბატაძე

შემადგენლობა

1. ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი 3
2. გამოყენებული აპარატურა 3
3. გამოყენებული ლიტერატურა 4
4. კვლევითი ნაწილი 4
5. დასკვნა 6
6. დანართი 7

1. ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

2019 წლის 28 მაისს შპს "1ინვესტმენტი"-ს დამკვეთსა და შპს ,,შენობა ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრი''-ს დირექტორს რევაზ ცხვედაძეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად დაგვევალა ჩაგვეტარებინა კვლევითი სამუშაო ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა № 6-ში სარეკონსტრუქციო (ს.კ. 01.18.05.001.006;) მრავალფუნქციური სასტუმროს კომპლექსის მშენებლობის, მომიჯნავედ განთავსებულ შენობა - ნაგებობებზე (ს.კ. 01.18.05.001.047; ს.კ. 01.18.05.001.076) გავლენის დადგენის მიზნით

2. გამოყენებული აპარატურა

1. ლაზერული მანძილმზომი „STANLEY TLM 3000“ №1-77-930;
2. ციფრული ფოტო აპარატი „FUJIFILM” №1WR51706;
3. სკლერომეტრული ჩაქუჩი „ELCOMETER 181“ №11005989;

3. გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „გაცემის წესისა და სანებართვო პირობეების შესახებ“;

2. სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პრ 01.01-09)

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2284. 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი;

3. სამშენებლო ნორმების და წესების - „ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები“

(პრ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2391. 2009 წლის 23 ოქტომბერი, ქ. თბილისი;

4. სამშენებლო ნორმების და წესების -„შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პრ 02.01-08) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/1924. 2008 წლის 17 სექტემბერი, ქ. თბილისი;

5. СНиП 2ю02ю01-83* „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (1995 წ-ს განახლება);

6. СП 13-102-2003, Правила обследования технического состояния несущих строительных конструкций зданий и сооружений.

4. კვლევითი ნაწილი

გამოსაკვლევი შენობა მდებარეობსქ. ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა № 6-ში (ს.კ. 01.18.05.001.006;) განლაგებულია სადემონტაჟო ოთხსართულიანი შენობა სხვენით და სარდაფით. იგი მდებარეობს სწორ რელიეფზე.გეგმაში რთული ფორმისაა. -შენობის ტიპი კონსტრუქციული თვალსაზრისით შესრულებულია სამი გრძივი და რიგი განივი მზიდი კედლების სისტემით, ხოლო გადახურვები განხორციელებულია რკინაბეტობის ანკრები ღრუტანიანი ფილებით;ტიხრები აგურის და ჭვრილი სამშენებლო ბლოკით არის შესრულებული. კარების და ფანჯრები ღიობები მოწყობილია ხის მასალით.სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ლითონის ჩანებზე მოწყობილი მოზაიკური საფეხურებით. სახურავი ორქანობიანია, ხის ნივნივებით, თუნუქის ბურულით.

ტექნო-ეკონომიკური მაჩვენებელი:

-ტერიტორიის მიწის ფართი 855მ². რავალფუნქციური სასტუმროს კომპლექსის ოთხსართულიანი ნაგებობა ერთი სართული მიწისქვეშა სართულით; მიწის ქვემოთ ფართი1548 მ²; მიწის ზემოთ 7530 მ².

სადემონტაჟო შენობის ფასადის მარცხენა მხარეს მდებარეობს 8 სართულიანი კარკასული შენობა (ს.კ. 01.18.05.001.047); ბრტყელი გადახურვით, სადაც განთავსებულია კაფე. შენობა კარკასულია, მიწის დონიდან 6.5 მეტრი ჩაღრმავებით. ეს შენობა დაცილებულია სადემონტაჟო შენობიდან 0.30 მ-ით.
სადემონტაჟო შენობის უკან მდებარეობს 9 სართულიანი კარკასული შენობა, შენობა გეგმაში მართკუთხაა, მანსარდით და სარდაფით ჩაღრმავებით 3.5 მეტრი.. დაშორება სადემონტაჟო შენობიდან 8 მ. ამ შენობებს შორის გადის 6 მეტრის დაშორებით ბლოკებისგან შესრულებული ღობე..

ყველა მომიჯნავე შენობა გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა და მდებარეობენ ოდნავ დახრილ რელიეფზე.. მომიჯნავე შენობების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მას არ გააჩნია ჯდენითი დეფორმაციის ნიშნები, რომელიც უარყოფით გავლენას მოახდენდა შენობის მდგრადობაზე ხელშეკრულების თანახმად საჭიროა განისაზღვროს სადემონტაჟო შენობის დემონტაჟის სამუშაოების გავლენა გავლენა მეზობელ შენობებზე.

სადემონტაჟო პრორქტის მიხედვით დემონტაჟი ხორციელდება შემდეგნაირად :

მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს: უცხო ხალხის გაყვანა სადემონტაჟო უბნიდან, სამშენებლო ნაგვის გატანა, გარე და შიგა ქსელების გამორთვა /არსებობის შემთხვევაში /, დროებითი "ნაგებობების" დაყენება თავისუფალ, უსაფრთხო ტერიტორიაზე, დროებითი საფარიანი ღობის დაყენება, ქუჩის ნაწილობრივი შემოღობვა, არსებული ღობის დაშლა-გატანა, დაყენებული ხარაჩოების დაშლა-გატანა, სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით არსებული ქსელებიდან, ხანძრისგან დაცვის სისტემის მონტაჟი და შეერთება დროებით წყალსადენის ქსელთან.

3 ააკრძალულია: სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება ორი-სამი კონსტრუქციების ერთად!

სამუშოების დროს უნდა გათვალისწინებულია:

ყველა კონსტრუქციის დროებითი გამაგრება, მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ქამრებით, ჩაფხუტებით და სათვალეებით, დემონტირებული კონსტრუქციების დროებითი ადგილი, აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ. აავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციების გამაგრება. ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში. სამშენებლო ნაგავი დროულად უნდა იქნას გატანილი. სამუშაოების დაწყებამდე მოხდეს: ტიხრების, იატაკების და კარ-ფანჯრების ნარჩენების აღება. ძირითადი სამუშაოების განხორციელება მოხდეს იარუსების მიხედვით:

--პირველი იარუსი—18.63—14.10 ნიშნულამდე /ნაწილობრივად დაშლილია/;

--მეორე იარუსი--------14.10---10.70 ნიშნულამდე;

--მესამე იარუსი--------10.70---7.30 ნიშნულამდე;

--მეოთხე იარუსი--------7.30----3.60 ნიშნულამდე;

--მეხუთე იარუსი--------3.60----0.00 ნიშნულამდე;

--მეექვსე იარუსი--------0.00--- -3.10 ნიშნულამდე.

ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დროს გათვალისწინებულია:

-სამონტაჟო ლითონის კიბეების დაყენება მუშებისათვის / კონსტრუქციების მიმაგრების ადგილებთან /;

-ანაკრები კონსტრუქციების შორის ნაკერების და კვანძების გახსნა დროებითი გამაგრების გათვალისწინებით;

-ანაკრები კონსტრუქციების სამონტაჟო ყულფების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში ახლის მოწყობა;

-დემონტირებული კონსტრუქციების გადმოტანა და დალაგება სპეციალურ მოედანზე;

-სპეციალური ტრავერსების გამოყენება და მათი პარამეტრების გათვალისწინება ამწის შერჩევის დროს.

არსებულ შენობასთან სამუშაოების განხორციელება მოხდეს მარტო ხელით. სადემონტაჟო და მის მომიჯნავედ არსებულ შენობებს, მიუხედავად იმისა რომ ერთმანეთის მომიჯნავედ არიან განთავსებულნი, კონსტრუქციული თვალსაზრისით არ გააჩნიათ საერთო საყრდენი ან მზიდი კონსტრუქცია. საპროექტო ტერიტორიის უსაფრთხოების მიზნით სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებისას გათვალსიწინებულია გრუნტში არსებული საყრდენი კონსტრუქციების შენარჩუნება,

რათა გამოირიცხოს სხვადასხვა დაზიანებების წარმოქმნის შესაძლებლობა დაშლის სამუშაოების წარმოება ხელით, მძიმე სამშენებლო ტექნიკის გამოყენების გარეშე.

გამოკვლევის ამსახველი ფოტოფიქსაცია არსებული მდგომარეობის შესახებ მოცემულია დანართში.

დასკვნა

ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა № 6-ში არაკონსტრუქციო (ს.კ. 01.18.05.001.006;) მრავალფუნქციური სასტუმროს კომპლექსის მშენებლობის, მომიჯნავედ განთავსებულ შენობა - ნაგებობებზე (ს.კ. 01.18.05.001.047; ს.კ. 01.18.05.001.076) გავლენის კვლევის საფუძველზე ვადგენთ:

1. სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების მომიჯნავედ არსებული შენობების (ს.კ. 01.18.05.001.047; ს.კ. 01.18.05.001.076) მდგომარეობა ტექნიკური თვალსაზრისით დამაკმაყოფილებია. მას არ გააჩნია ჯდენითი ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწვეული დეფორმაციის ნიშნები, რომელიც უარყოფით გავლენას მოახდენდა შენობის მდგრადობაზე.

2. სადემონტაჟო და მის მომიჯნავედ არსებულ შენობებს, მიუხედავად იმისა რომ ერთმანეთის მომიჯნავედ არიან განთავსებულნი, კონსტრუქციული თვალსაზრისით არ გააჩნიათ საერთო საყრდენი ან მზიდი კონსტრუქცია;

3. სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტის თანახმად, დემონტაჟი უნდა განხორციელდეს მძიმე ტექნიკის გამოყენების გარეშე, ხელითა და მცირე მექანიზმებით;

4. აღნიშნულიდან გამომდინარე შენობის დემონტაჟი უარყოფით გავლენას არ მოახდენს მის მეზობლად არსებულ ობიექტზე ან მისი განლაგების ტერიტორიაზე

კვლევის ანგარიში შეადგინა:

ექსპერტი: /დ. ტაბატაძე/